2023 წ.

# ოპერატიული ინფორმაცია

## 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარ-აგვისტო)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მოწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2023 წლის 26 სექტემბრისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, სექტემბერი, 2023 წ.

## საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2023 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება **14,633.6** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,914.2 მლნ ლარი) 66.8%-ს და 9 თვის გეგმის[1] (15,574.6 მლნ ლარი) 94.0%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,613.2 მლნ ლარით (21.7%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

**გადასახდელების** შესრულება **13,810.2** მლნ ლარს, წლიური გეგმის (21,880.1 მლნ ლარი) 63.1%-ს და 9 თვის გეგმის (16,016.5 მლნ ლარი) 86.2%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვარ-აგვისტოს მაჩვენებელს 1,983.7 მლნ ლარით (16.8%-ით) აჭარბებს.




შესაბამისად, იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (დაგროვება) **823.4** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის დაზუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,247.5 მლნ ლარი, ხოლო 2023 წლის პირველი სექტემბრისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 2,070.9 მლნ ლარის ოდენობით.




რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 9 თვის გეგმის მიმართ გადაჭარბებით არის შესრულებული ფინანსური აქტივების კლებისა (101.8%) და ვალდებულებების ზრდის (110.4%) კომპონენტები, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლები (91.7%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი გამოირჩევა დაბალი შესრულების დონით (59.4%).

**გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით,** ხარჯების კომპონენტი კარგი შესრულებით გამოირჩევა (9 თვის გეგმის 87.0%), ხოლო დანარჩენი 3 კომპონენტის, არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების შესრულება შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება (9 თვის გეგმის შესაბამისად, 84.6%, 83.1% და 81.2%).

| დასახელება | 2023 წლის გეგმა | 9 თვის გეგმა | 8 თვის შესრულება | 8 თვე / 9 თვის გეგმა | დასახელება | 2023 წლის გეგმა | 9 თვის გეგმა | 8 თვის შესრულება | 8 თვე / 9 თვის გეგმა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **21,914.2** | **15,574.6** | **14,633.6** | **94.0%** | **გადასახდელები** | **21,880.1** | **16,016.5** | **13,810.2** | **86.2%** |
| შემოსავლები | 17,619.9 | 13,266.1 | 12,165.5 | **91.7%** | ხარჯები | 16,335.2 | 12,384.1 | 10,769.6 | **87.0%** |
| არაფინანსური აქტივების კლება | 200.0 | 122.0 | 72.4 | **59.4%** | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,881.3 | 2,572.6 | 2,176.6 | **84.6%** |
| ფინანსური აქტივების კლება | 450.0 | 207.5 | 211.2 | **101.8%** | ფინანსური აქტივების ზრდა | 445.1 | 194.5 | 161.7 | **83.1%** |
| ვალდებულებების ზრდა | 3,644.3 | 1,979.0 | 2,184.5 | **110.4%** | ვალდებულებების კლება | 1,218.5 | 865.3 | 702.3 | **81.2%** |

[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს №320 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2023 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **1,395.9** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **(-708.3)** მლნ ლარი.

2014–2023 წლების 8 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)




შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარ-აგვისტოში მიღებული შემოსავლების 89.6% და მთლიანი შემოსულობების 74.5% მოდის. კერძოდ, 8 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 10,900.7 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 89.6%-ს და წლიური გეგმის 66.9%-ს შეადგენს, ყველა საგადასახადო შემოსავალი (გარდა სხვა გადასახადებისა, რომელიც -147.7 მლნ ლარს შეადგენს) 9 თვის გეგმის მიმართ მობილიზების მაღალი დონით ხასიათდება და 88.3%-110.4%-ის ფარგლებში მერყეობს, განსაკუთრებით კი გამოირჩევა იმპორტის გადასახადი (110.4%), საშემოსავლო გადასახადი (94.5%) და აქციზი (93.0%). გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 1,949.2 მლნ ლარით (21.8%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის (674.5 მლნ ლარით) და დღგ-ის (595.0 მლნ ლარით) მნიშვნელოვანი მატების გავლენით.

2022–2023 წწ. 8 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)




გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარ-აგვისტოში შეადგინა 10,769.6 მლნ ლარი, 9 თვის გეგმის 87.0% და წლიური გეგმის 65.9%. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, 9 თვის გეგმასთან მიმართებით, შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს პროცენტის (91.7%), სოციალური უზრუნველყოფისა (89.6%) და სხვა ხარჯების (87.8%) მუხლებით გაწეულ ხარჯებს. შედარებით დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა გრანტების (81.0%), შრომის ანაზღაურების (82.7%), სუბსიდიებისა (83.9%) და საქონლისა და მომსახურების (84.5%) მუხლები. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 1,349.0 მლნ ლარით (14.3%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის (422.2 მლნ ლარით), აგრეთვე, პროცენტისა (307.7 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (224.9 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.

2022–2023 წწ. 8 თვის ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



# ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲔᲑᲘ

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

| ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ | 2021 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2022 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ* | 2023 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | 2023 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2023 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ / 2022 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ | | 2023 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲒᲔᲒᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | % | ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ | %-ᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ | |
| ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ | **11,529.5** | **12,020.5** | **21,914.2** | **15,574.6** | **14,633.6** | **-941.0** | **94.0%** | **2,613.2** | **21.7%** | **66.8%** |
| ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ | **7,874.3** | **10,043.1** | **17,619.9** | **13,266.1** | **12,165.5** | **-1,100.6** | **91.7%** | **2,122.4** | **21.1%** | **69.0%** |
| **გადასახადები** | 7,032.0 | 8,951.4 | 16,290.4 | 12,165.6 | 10,900.7 | -1,264.9 | 89.6% | 1,949.2 | 21.8% | 66.9% |
| საშემოსავლო გადასახადი | 2,205.4 | 3,052.6 | 5,140.0 | 3,945.6 | 3,727.0 | -218.6 | 94.5% | 674.5 | 22.1% | 72.5% |
| მოგების გადასახადი | 717.5 | 1,392.6 | 2,000.0 | 1,580.0 | 1,395.0 | -185.0 | 88.3% | 2.4 | 0.2% | 69.7% |
| დღგ | 3,084.8 | 3,826.0 | 6,670.4 | 4,883.0 | 4,421.0 | -462.0 | 90.5% | 595.0 | 15.6% | 66.3% |
| აქციზი | 1,110.7 | 1,203.1 | 2,100.0 | 1,511.0 | 1,405.0 | -106.0 | 93.0% | 201.9 | 16.8% | 66.9% |
| იმპორტის გადასახადი | 54.1 | 75.9 | 130.0 | 91.0 | 100.4 | 9.4 | 110.4% | 24.5 | 32.3% | 77.3% |
| სხვა გადასახადები | -140.6 | -598.6 | 250.0 | 155.0 | -147.7 | -302.7 | -95.3% | 450.9 | -75.3% | -59.1% |
| **გრანტები** | 282.7 | 246.1 | 279.6 | 156.3 | 197.1 | 40.8 | 126.1% | -49.0 | -19.9% | 70.5% |
| **სხვა შემოსავლები** | 559.6 | 845.5 | 1,050.0 | 944.2 | 1,067.7 | 123.5 | 113.1% | 222.2 | 26.3% | 101.7% |
| ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ | **95.7** | **131.8** | **200.0** | **122.0** | **72.4** | **-49.6** | **59.4%** | **-59.4** | **-45.1%** | **36.2%** |
| ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ (ᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ) | **78.3** | **104.3** | **450.0** | **207.5** | **211.2** | **3.7** | **101.8%** | **106.9** | **102.5%** | **46.9%** |
| ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ | **3,481.2** | **1,741.3** | **3,644.3** | **1,979.0** | **2,184.5** | **205.5** | **110.4%** | **443.3** | **25.5%** | **59.9%** |
| საგარეო | 4,146.7 | 1,023.6 | 2,244.3 | 1,054.0 | 1,171.7 | 117.7 | 111.2% | 148.1 | 14.5% | 52.2% |
| საშინაო | -665.5 | 717.7 | 1,400.0 | 925.0 | 1,012.8 | 87.8 | 109.5% | 295.1 | 41.1% | 72.3% |
| | | | | | | | | | | |
| ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ | **12,862.4** | **11,826.5** | **21,880.1** | **16,016.5** | **13,810.2** | **-2,206.3** | **86.2%** | **1,983.7** | **16.8%** | **63.1%** |
| ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ | **8,841.1** | **9,420.6** | **16,335.2** | **12,384.1** | **10,769.6** | **-1,614.5** | **87.0%** | **1,349.0** | **14.3%** | **65.9%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,066.2 | 1,157.9 | 2,236.7 | 1,671.2 | 1,382.8 | -288.4 | 82.7% | 224.9 | 19.4% | 61.8% |
| საქონელი და მომსახურება | 1,074.4 | 1,177.1 | 2,025.5 | 1,567.5 | 1,324.7 | -242.8 | 84.5% | 147.6 | 12.5% | 65.4% |
| პროცენტი | 562.7 | 538.9 | 1,201.0 | 923.2 | 846.6 | -76.6 | 91.7% | 307.7 | 57.1% | 70.5% |
| სუბსიდიები | 491.5 | 428.3 | 927.6 | 679.0 | 569.7 | -109.3 | 83.9% | 141.4 | 33.0% | 61.4% |
| გრანტები | 445.5 | 566.2 | 1,275.8 | 951.2 | 770.5 | -180.7 | 81.0% | 204.3 | 36.1% | 60.4% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,916.2 | 4,022.7 | 6,447.9 | 4,962.6 | 4,444.9 | -517.7 | 89.6% | 422.2 | 10.5% | 68.9% |
| სხვა ხარჯები | 1,284.6 | 1,529.6 | 2,220.7 | 1,629.4 | 1,430.4 | -199.0 | 87.8% | -99.2 | -6.5% | 64.4% |
| ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ | **1,414.8** | **1,638.7** | **3,881.3** | **2,572.6** | **2,176.6** | **-396.0** | **84.6%** | **537.9** | **32.8%** | **56.1%** |
| ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ (ᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ) | **222.2** | **115.7** | **445.1** | **194.5** | **161.7** | **-32.8** | **83.1%** | **45.9** | **39.7%** | **36.3%** |
| ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ | **2,384.3** | **651.5** | **1,218.5** | **865.3** | **702.3** | **-163.0** | **81.2%** | **50.9** | **7.8%** | **57.6%** |
| საგარეო | 2,340.6 | 626.6 | 1,175.6 | 830.4 | 677.7 | -152.7 | 81.6% | 51.1 | 8.2% | 57.6% |
| საშინაო | 43.7 | 24.9 | 42.9 | 34.9 | 24.6 | -10.3 | 70.6% | -0.2 | -0.9% | 57.4% |
| | | | | | | | | | | |
| ᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ (+ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ / – ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ) | **-1,332.9** | **194.0** | **34.1** | **-441.9** | **823.4** | **789.3** | | **629.4** | | |

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 31 აგვისტოს №320 ბრძანება)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

| დასახელება | 2021 წლის 8 თვის შესრულება | 2022 წლის 8 თვის შესრულება | 2023 წლის წლიური გეგმა | 2023 წლის 9 თვის გეგმა | 2023 წლის 8 თვის შესრულება | 2023 წლის 8 თვის შესრულება / 2023 წლის 9 თვის გეგმა | | 2023 წლის 8 თვის შესრულება / 2022 წლის 8 თვის შესრულება | | 2023 წლის 8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სხვაობა | % | სხვაობა | %-ული ცვლილება | |
| **შემოსავლები** | **7,874.3** | **10,043.1** | **17,619.9** | **13,266.1** | **12,165.5** | **-1,100.6** | **91.7%** | **2,122.4** | **21.1%** | **69.0%** |
| გადასახადები | 7,032.0 | 8,951.4 | 16,290.4 | 12,165.6 | 10,900.7 | -1,264.9 | 89.6% | 1,949.2 | 21.8% | 66.9% |
| გრანტები | 282.7 | 246.1 | 279.6 | 156.3 | 197.1 | 40.8 | 126.1% | -49.0 | -19.9% | 70.5% |
| სხვა შემოსავლები | 559.6 | 845.5 | 1,050.0 | 944.2 | 1,067.7 | 123.5 | 113.1% | 222.2 | 26.3% | 101.7% |
| **ხარჯები** | **8,841.1** | **9,420.6** | **16,335.2** | **12,384.1** | **10,769.6** | **-1,614.5** | **87.0%** | **1,349.0** | **14.3%** | **65.9%** |
| შრომის ანაზღაურება | 1,066.2 | 1,157.9 | 2,236.7 | 1,671.2 | 1,382.8 | -288.4 | 82.7% | 224.9 | 19.4% | 61.8% |
| საქონელი და მომსახურება | 1,074.4 | 1,177.1 | 2,025.5 | 1,567.5 | 1,324.7 | -242.8 | 84.5% | 147.6 | 12.5% | 65.4% |
| პროცენტი | 562.7 | 538.9 | 1,201.0 | 923.2 | 846.6 | -76.6 | 91.7% | 307.7 | 57.1% | 70.5% |
| სუბსიდიები | 491.5 | 428.3 | 927.6 | 679.0 | 569.7 | -109.3 | 83.9% | 141.4 | 33.0% | 61.4% |
| გრანტები | 445.5 | 566.2 | 1,275.8 | 951.2 | 770.5 | -180.7 | 81.0% | 204.3 | 36.1% | 60.4% |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,916.2 | 4,022.7 | 6,447.9 | 4,962.6 | 4,444.9 | -517.7 | 89.6% | 422.2 | 10.5% | 68.9% |
| სხვა ხარჯები | 1,284.6 | 1,529.6 | 2,220.7 | 1,629.4 | 1,430.4 | -199.0 | 87.8% | -99.2 | -6.5% | 64.4% |
| **საოპერაციო სალდო** | **-966.8** | **622.5** | **1,284.7** | **882.0** | **1,395.9** | **513.9** | **158.3%** | **773.4** | **124.2%** | **108.7%** |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **1,319.1** | **1,506.9** | **3,681.3** | **2,450.6** | **2,104.2** | **-346.4** | **85.9%** | **597.3** | **39.6%** | **57.2%** |
| ზრდა | 1,414.8 | 1,638.7 | 3,881.3 | 2,572.6 | 2,176.6 | -396.0 | 84.6% | 537.9 | 32.8% | 56.1% |
| კლება | 95.7 | 131.8 | 200.0 | 122.0 | 72.4 | -49.6 | 59.4% | -59.4 | -45.1% | 36.2% |
| **მთლიანი სალდო** | **-2,285.9** | **-884.4** | **-2,396.6** | **-1,568.6** | **-708.3** | **860.2** | **45.2%** | **176.0** | **-19.9%** | **29.6%** |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **-1,188.9** | **205.4** | **29.2** | **-454.9** | **773.9** | **1,228.7** | **-170.1%** | **568.4** | **276.7%** | **2650.0%** |
| **ზრდა** | **222.2** | **309.7** | **479.2** | **194.5** | **985.1** | **790.6** | **506.5%** | **675.3** | **218.1%** | **205.6%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 194.0 | 34.1 | 0.0 | 823.4 | 823.4 | | 629.4 | 324.5% | 2414.4% |
| სესხები | 222.2 | 115.7 | 445.1 | 194.5 | 160.5 | -33.9 | 82.6% | 44.8 | 38.7% | 36.1% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.1 | 1.1 | | 1.1 | | |
| **კლება** | **1,411.2** | **104.3** | **450.0** | **649.4** | **211.2** | **-438.2** | **32.5%** | **106.9** | **102.5%** | **46.9%** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,332.9 | 0.0 | 0.0 | 441.9 | 0.0 | -441.9 | 0.0% | 0.0 | | |
| სესხები | 78.1 | 103.4 | 450.0 | 207.5 | 209.7 | 2.2 | 101.0% | 106.2 | 102.7% | 46.6% |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.2 | 0.9 | 0.0 | 0.0 | 1.5 | 1.5 | | 0.7 | 78.7% | |
| **ვალდებულებების ცვლილება** | **1,096.9** | **1,089.8** | **2,425.8** | **1,113.7** | **1,482.2** | **368.5** | **133.1%** | **392.4** | **36.0%** | **61.1%** |
| **ზრდა** | **3,481.2** | **1,741.3** | **3,644.3** | **1,979.0** | **2,184.5** | **205.5** | **110.4%** | **443.3** | **25.5%** | **59.9%** |
| საშინაო | -665.5 | 717.7 | 1,400.0 | 925.0 | 1,012.8 | 87.8 | 109.5% | 295.1 | 41.1% | 72.3% |
| საგარეო | 4,146.7 | 1,023.6 | 2,244.3 | 1,054.0 | 1,171.7 | 117.7 | 111.2% | 148.1 | 14.5% | 52.2% |
| **კლება** | **2,384.3** | **651.5** | **1,218.5** | **865.3** | **702.3** | **-163.0** | **81.2%** | **50.9** | **7.8%** | **57.6%** |
| საშინაო | 43.7 | 24.9 | 42.9 | 34.9 | 24.6 | -10.3 | 70.6% | -0.2 | -0.9% | 57.4% |
| საგარეო | 2,340.6 | 626.6 | 1,175.6 | 830.4 | 677.7 | -152.7 | 81.6% | 51.1 | 8.2% | 57.6% |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | | **0.0** | | |